

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიბლიესტიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეოლოგიის დოქტორი (ბიბლიესტიკა)
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები	<p>მოდული: I. ძველი აღთქმა. საქართველოს საპატრიარქოს საგანმანათლებლო კომიტეტის თავმჯდომარე, თეოლოგიის დოქტორი, აკადემიკოსი, რუსთავის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი).</p> <p>მოდული: II. ახალი აღთქმა. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ბიბლიესტიკის კათედრის გამგე, ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი დეკანოზი გიორგი გუგუშვილი.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში	სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი (ECTS)
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომლის შესაბამისად:</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: დოქტორანტურაში სწავლის უფლება ეძლევა მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრს ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონათესავე დარგში (მაგისტრის) აკადემიური ხარისხის მქონე პირს.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება: 1. ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული, ახალი ბერძნული, ფრანგული, იტალიური) ან რუსული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ანსაერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა); 2. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა; 3. გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია. (დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (საქართველოს «უმადლესი განათლების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად). დოქტორანტურის კანდიდატმა, თუ ქართული მისი დედაენა არ არის, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს ღრმა თეორიული ცოდნის მქონე ბიბლიესტიკის მაღალკვალიფიციური მეცნიერ-სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ გააანალიზონ და განაზოგადონ საკვლევი მასალა. გააღრმავონ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შეძენილი ცოდნა. საფუძვლიანად შეისწავლონ - ძველი და ახალი აღთქმა; წიგნთა

<p>სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება</p>	<p>შექმნის ისტორია, მათი ურთიერთმიმართების საკითხი, წიგნთა დიფერენცირება-კლასიფიკაცია თვისობრივი ნიშნით; ბიბლიურ წიგნთა კანონის ისტორია - კანონიკური, არაკანონიკური, აპოკრიფული წიგნები; მათი თარგმანები და რედაქციები, ქართველი მთარგმნელები და ქართული რედაქციები. წმინდა წერილის წიგნთა ენა, ავტორები, ნამდვილობა, დაწერის დრო, სიმბოლიკა. ბიბლიური უწყებანი სამყაროს შექმნის შესახებ, სამოთხესა და სამოთხის გარეთ ადამიანთა ცხოვრების ისტორია, წინასწარმეტყველებანი აღთქმული მესიის შესახებ და მისი მოლოდინი, იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ, მოციქულთა და მათი სახით ქრისტეს მიმდევართა დამოდვრა-ზნესწავლულობის ტრადიციული ქრისტიანული ეგზეგეზა ეკლესიის ცნობილ ღვთისმეტყველთა სწავლების მიხედვით; მოციქულთა მოღვაწეობისა და მათი ეპისტოლეების მიმოხილვა.</p> <p>ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამა საშუალებას იძლევა მომზადდეს თეოლოგი მეცნიერ-მკვლევარი, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები თეოლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. პროგრამის თემატიკა დოქტორანტს საშუალებას აძლევს, მიიღოს თეორიული ცოდნა, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული თეოლოგიური პროცესების გათვალისწინებით, წმინდა წერილისეული ეპიზოდების მოხმობით შესატყვისები და პარალელები მოიძიოს წარსულთან და თანამედროვეობასთან.</p> <p>დოქტორანტს ექნება დეტალური ცოდნა წმინდა წერილის რედაქციებისა და სხვადასხვა ქართული მთარგმნელობითი სკოლის განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა შესახებ, შეძლებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დისციპლინის (ისტორია, ფილოლოგია, ლიტერატურული კრიტიკა, ენისა და ხელოვნების ისტორია, პალეოგრაფია, ფილოსოფია, სამართალი, და ა. შ.) სათანადოდ გამოყენებას.</p> <p>სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, უპირველესად კი საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული უმაღლესი სასულიერო სასწავლებლებისათვის და საღვთისმსახურო კერებისათვის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებისა და სასულიერო პირების მომზადება.</p> <p>დოქტორანტურის გეგმაში სემინარულ მუშაობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით რეფერატების მომზადებას, სხვათა მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზსა და აუდიტორიისათვის წარდგენის მეთოდოლოგიას. დოქტორანტი ვალდებულია, ხელმძღვანელს დაწვრილებით წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები რეფერატის, მოხსენებებისა და სტატიების სახით. სწავლების პროცესში დოქტორანტს თავდაპირველად მიეცემა საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი. შემდეგ ხელმძღვანელი ოპონენტის როლშიც წარმოგვიდგება და მისი მუშაობა დოქტორანტთან გაგრძელდება აქტიური დისკუსიის ფორმატით.</p> <p>სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება გულისხმობს 180 კრედიტის დაგროვებას (60 – სასწავლო კომპონენტი; 120 – კვლევითი კომპონენტი). 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს.</p>
--	---

<p>საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად მკვლევარი დაუფლებული იქნება ღრმა და საფუძვლიან ცოდნას თეოლოგიაში, სახელდობრ, ბიბლიისტიკაში. სიღრმისეულად ეცოდინება დარგში შემუშავებული თეორიული და კვლევითი მეთოდები, დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები.</p> <p>შეეძლება შეძენილი ცოდნა და კვლევის მეთოდები მიაწოდოს აუდიტორიას და ფართო საზოგადოებას ზეპირად და წერილობით.</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება მეცნიერების ტრადიციულ და უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ბიბლიისტიკაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მუშაობა წარმართის საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე ადეკვატურად და ღრმად გაერკვეს ამ პრობლე-მატიკაში.</p> <p>კურსდამთავრებულს შეეძლება დარგობრივი სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება-განხილვა კორექტულად; წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება.</p> <p>დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი დაეუფლება უმაღლესი თეოლოგიური განათლების მქონე პედაგოგისა და ღვთისმსახურის უნარ-ჩვევებსა და მიღებული ცოდნისა და საკუთარი კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით წარდგენის უნარს, ასევე სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და და ელექტრონული სწავლების საფუძველზე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით.</p>
--	--

ცოდნის დამოუკიდებლად მიღებისა და მისი გამოყენების გამომუშავება

დოქტორანტს შეეძლება სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე სწავლის გაგრძელების სტრატეგიული დაგეგმვა და მისი დამოუკიდებლად წარმართვა. კეძოდ, შეეძლება:

- იკვლიოს წმინდა წერილით უწყებული ცალკეული საკითხები; ძველი ხელნაწერები და სხვა წერილობითი ძეგლები, რომელთა ამოსავალი ორიენტირები წმინდა წერილს უკავშირდება;
- შეისწავლოს ნებისმიერი ეპოქის ქართულ ენაზე თარგმნილი და რედაქტირებული წმინდა წერილის წიგნები;
- დაწეროს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ნაშრომები;
- ეფექტურად გამოიყენოს თავისი ცოდნა და დამატებითი რესურსები, რათა დამოუკიდებლად დაგეგმოს თავისი და სხვათა კვლევა.

კომუნიკაციის უნარი

შეიძენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის, საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების წამოყენების უნარს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს ექნება აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი.

შეეძლება: იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული. შეეძლება დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი მეთოდებით; შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეეძლება გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეძენილი ცოდნა გადასცეს სხვებსაც; შეეძლება კვალიფიციურად მოამზადოს დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება ღრმა ანალიზისა და სინთეზური კვლევის უნარი; თეოლოგიური პრობლემემატიკის გააზრებისა და ზუსტი საღვთისმეტყველო ანალიზის უნარი.

<p>დასაქმების სფერო</p>	<p>დოქტორანტის პიროვნული და მეცნიერული სახე</p> <p>შუა საუკუნეების ქართულ და მსოფლიო კულტურებს, მეცნიერ-ების სხვადასხვა სფეროს, ლიტერატურას (ჰაგიოგრაფიულ, ჰომი-ლეტიკურ, ლიტურგიკულ, ეგზეგეტიკურ, ესქატოლოგიურ, ეორ-ტალოგიურ, ფილოსოფიურ და სხვ.), საისტორიო მწერლობას (პროვიდენციალური კუთხით შექმნილ "ქართლის ცხოვრების" კრებულის თხზულებებს და სხვა ისტორიულ ნაწარმოებებს), საეკლესიო ფერწერას (მინიატურულ და მონუმენტურ ხატწერის ნიმუშებს, ჭედურ და კვეთილ ხატებს და სხვ.) არქიტექტურას (სა-ტაძრო და საყოფაცხოვრებო შენობები) ასაზრდოებდა ბიბლიური (ქრისტიანული) მსოფლმხედველობა. დოქტორანტს, რომელიც გაივლის და შეისწავლის ზემოაღნიშნულ კურსს, გამომუშავებუ-ლი ექნება მეცნიერული კვლევა-ძიების უნარ-ჩვევები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მას ასევე, გაცნობიერებული ექნება ის ფაქტიც, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სულიერი და მატერიალური კულტურის მიღწევები ნასაზრდოები იყო ქრისტიანულ-დიოფიზიტური მსოფლმხედველობით, რომლის პირველწყარო არის ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილის წიგნები; რომ წარსულის მიღწევებთან განუწყვეტელი კავშირი ქმნის სოციალური კულტურის იმ აუცილებელ ელემენტებს, რო-მელთა გარეშე შეუძლებელია აწმყოში ორიენტირება და საზოგა-დოების მომავალი განვითარება. განუვითარდება რწმენა და უნა-რი იმისა, რომ წმინდა წერილისეული მოძღვრების არსი გახლავთ განუწყვეტელი სწრაფვა რწმენის, ცოდნის, განათლების გზით ახალი მიღწევების მოსაპოვებლად; დოქტორანტს შეეძლება სა-ზოგადოების კულტურული განვითარების ორიენტირების გამო-კვეთა. იგი ასევე შეძლებს იმუშაოს ძველი ქართული ხელნაწერე-ბის საღვთისმეტყველო საფუძვლების შესწავლის კუთხით; ექნება კვლევითი პროექტების განხორციელებისა და სწავლების უნარი; მომზადებული იქნება საქართველოს და ასევე სხვა მართლმადი-დებელი ადგილობრივი ეკლესიების ღვთისმსახურის რანგში (მეცნიერი ღვთისმეტყველი) სამოღვაწეოდ.</p> <p>დოქტორანტურის კურსდამთავრებულის მუშაობის უპირველესი და უმთავრესი სფეროა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული საღვთისმსახურო კერები, უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული არსებული უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო ცენტრები. შეეძლება უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილის წიგნთა შესასწავლი სალექციო კურსების წაყვანა. ასევე შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს თეოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში და ა.შ.</p>
--------------------------------	--

	<p>სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:</p> <p>თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო კათედრები; თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის, საპატრიარქოს, ეროვნული საპარლამენტო და სხვა სახელმწიფო ბიბლიოთეკები და სამეცნიერო კვლევითი ცენტრები.</p>
--	--

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

#	სადოქტორო პროგრამა ბიბლესტიკა	საგნის სტატუსი	კრედიტების განაწილება სემესტრებში						
	საგნების დასახელება		I	II	III	IV	V	VI	
1	ძველი აღთქმის წიგნთა სადვთისმეტყველო განმარტება	სავ.	✓						
2	ძველი აღთქმის ტექსტის ისტორია და ქართული თარგმანები	სავ.			✓				
3	ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა -კოინე)	სავ.	✓						
4	ძველი ებრაული ენა I	სავ.	✓						
5	დოქტორანტის სემინარი	სავ.		✓					
6	პროფესორის ასისტენტობა	სავ.					✓		
1	ძველი აღთქმა ლიტურგიკულ პრაქტიკაში	არჩ.		✓					
2	ბიზანტიური ტექსტები II	არჩ.		✓					
3	ბიზანტიური ტექსტები III	არჩ.			✓				
4	ძველი ებრაული ენა II	არჩ.		✓					
5	ძველი აღთქმის ებრაული ტექსტები	არჩ.			✓				
6	ლათინური ენა	არჩ.		✓	✓				
7	სლავური ენა	არჩ.			✓				

შენიშვნა: დოქტორანტმა სავალდებულო საგნებთან ერთად ოთხი არჩევითი საგანი უნდა შეისწავლოს.

სასწავლო კომპონენტის აღწერა:

სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) დოქტორანტის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური დახელოვნების მიზნით მოიცავს შემდეგ მოდულებს:

1. საგნობრივი კურსები
2. პროფესორის ასისტენტობა
3. დოქტორანტის სემინარი

კვლევითი კომპონენტის აღწერა:

აქტივობის სახე
საწყისი ეტაპი: სადოქტორო თემის შერჩევა და გეგმის შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენა
საწყისი ეტაპი: ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი
დისერტაციის მომზადების I ეტაპი
დისერტაციის მომზადების II ეტაპი
დისერტაციის მომზადების III ეტაპი
კოლოქვიუმი* (2)
სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა

ცოდნის საბოლოო შეფასების სქემა:

<p>დოქტორანტის ცოდნის შეფასება. შეფასების ფორმა. შეფასების მეთოდი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ლექციაზე აქტიურობის შეფასება; - დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკუმზე; - წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს; - სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს; - ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება ფინალური გამოცდის დროს.
--	---

<p>დოქტორანტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები</p>	<p>სასწავლო კურსების ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 - ქულიანი სისტემით და შემდეგი პრინციპებით:</p>	<p>ხვედრითი წილი</p>
	<p>1. აქტიურობა. პრაქტიკული მეცადინეობების დროს შემოწმდება: აღქმის უნარი, სალექციო თემის დამუშავების სისრულე, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, დისკუსიის უნარი და სხვ.,</p>	<p>0-20ქულა</p>
	<p>2. I შუალედური. შუალედური შეფასება ტარდება წერითი ფორმით მე-6 კვირაში; ფასდება I-V საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა</p>	<p>0-25 ქულა</p>
	<p>3. II შუალედური. მეორე შუალედური შეფასებაც ტარდება წერითი ფორმით მე-11 კვირაში; ფასდება VI-X საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა.</p>	<p>0-25 ქულა</p>
	<p>4. დასკვნითი გამოცდა: შემაჯამებელი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით სემესტრის დასრულების შემდეგ. ფასდება ყველა ძირითადი სალექციო საკითხის ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა. შემაჯამებელ გამოცდაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცოდნის სინთეზისა და ახალი იდეების კონსტრუირების უნარს.</p>	<p>0-30ქულა</p>
<p align="center">დასკვნით გამოცდაზე დაიშვება დოქტორანტი, რომელიც შუალედური შეფასებებისას დააგროვებს სულ მცირე 21 ქულას.</p>		

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება	დოქტორანტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები
91-100	A	ფრიადი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, აქვს გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
81-90	B	ძალიან კარგი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
71-80	C	კარგი	სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას.
51-60	E	საკმარისი	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.
41-50	FX	ვერ ჩააბარა	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის განსახილველი საკითხების შესახებ.
0-40	F	ჩაიჭრა	მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულა), დოქტორანტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუკი დოქტორანტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტს.

დოქტორანტის სემინარი

დოქტორანტის სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური შეფასების (მაქსიმუმ 60) და დასკვნითი შეფასების (მაქსიმუმ 40) ქულების ჯამით.

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	საჭირო ინფორმაციაზე წვდომა. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
2	სემინარის თემის შესაბამისობა დარგის პრობლემატიკასთან. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
3	ჩატარებული კვლევის ხარისხი. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
4	ინფორმაციის ანალიზი და დასკვნები. მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა
5	სემინარის თემის აქტუალობა. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
6	მასალის ინფორმატიულობა, ანალიზი. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
7	კვლევის დასკვნები და შედეგები. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა
8	თემის წარდგენის უნარი. მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა

დოქტორანტის ხელმძღვანელი ახორციელებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შუალედურ შეფასებას, დასკვნითი შეფასების მიზნით კი დოქტორანტის ნაშრომს აფასებს არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ქმნის შესაბამისი კათედრები. დასკვნით შეფასებაზე ნაშრომი დაიშვება, თუ მისი შუალედური შეფასება იქნება 11 ქულა ან მეტი. სემინარზე დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

სემინარის უარყოფითი "FX" შეფასების შემთხვევაში (41-50 ქულა), დოქტორანტს ეძლევა უფლება იმავე სემესტრში განმეორებით წარადგინოს ნაშრომი დასკვნით შეფასებაზე. ძირითად და განმეორებით შეფასებას შორის არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

სემინარის უარყოფითი "F" შეფასების შემთხვევაში (40 ქულა და ნაკლები), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

შენიშვნა: კომპონენტების შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით.

პროფესორის ასისტენტობა

პროფესორის ასისტენტობის ფორმატით დოქტორანტის მიერ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობისა და ჯგუფური სამუშაოს/დისკუსია - სემინარისა და პრეზენტაციის შემდეგ/ შეფასება;

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	პრაქტიკული/ლაბორატორიული/სემინარული მეცადინეობის ჩატარება/ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/;
2	სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის ორგანიზება /ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/;
3	ზოგიერთი სალექციო თემისათვის პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ სასემინარო/ სადემონსტრაციო მასალების მომზადება;
4	სტუდენტთა დისკუსიის ორგანიზება სემინარის დროს/ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში;
5	პროფესორის ხელმძღვანელობით შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საკითხების/ტესტების მომზადება;
6	სტუდენტთა ნაშრომების (საშუალო და დასკვნითი გამოცდების) გასწორება;

7	ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება;
8	ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა/კონსულტირება.

პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ.

უარყოფითი შეფასების "Fx" შემთხვევაში (41-50 ქულა), დოქტორანტს ეძლევა დამატებითი დავალებები და ფასდება იმავე სემესტრში არანაკლებ 10 დღის შემდეგ.

უარყოფითი შეფასების "F" შემთხვევაში (40 ქულა და ნაკლები), ასისტენტობის კურსის გავლა უნდა მოხდეს მომდევნო სემესტრში.

შენიშვნა: თითოეული პუნქტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით; დადებითად ითვლება შეფასება არანაკლებ 51 ქულისა. საბოლოო ქულის დაანგარიშება ხდება კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებითა და შეწონილი საშუალოს გამოყვანით.

დოქტორანტის კოლოკვიუმი

დოქტორანტის კოლოკვიუმის შეფასება ხორციელდება კათედრაზე შექმნილი, არანაკლებ 5 წევრისაგან შემდგარი დარგობრივი კომისიის მიერ, რომლის დამტკიცება ხდება კათედრის სხდომაზე. დოქტორანტის კოლოკვიუმი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით. კათედრის სხდომის ოქმში ასახული უნდა იყოს დოქტორანტის ნაშრომის შეფასება დადებითად ან უარყოფითად.

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს განმეორებით გაიტანოს ნაშრომი დარგობრივი კომისიის სხდომაზე. ძირითად და განმეორებით შეფასებას შორის არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები	პროგრამის განსახორციელებლად დოქტორანტებს შეეძლებათ ისრაგებლონ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკით. პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ლექციებისა და კონსულტაციების, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისათვის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიას აქვს საჭირო ფართი.
პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები	მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიას გააჩნია საჭირო ადამიანური რესურსები - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალი (მკვლევარ-მეცნიერები), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სპეციალური განათლება და პროფესიული გამოცდილება.
სწავლების მეთოდები	სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. გამოყენებული იქნება სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას: ლექცია-სემინარები, პრაქტიკული სამუშაოები, კოლოკვიუმები, დისკუსიები და დებატები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი და სწავლების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვა. დოქტორანტის წინაშე დასახული რთული პრობლემების გადაჭრა კვლევის ერთი რომელიმე, ცალკე აღებული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელი იქნება. ამიტომ კვლევის პროცესში დოქტორანტი გამოიყენებს თანამედროვე მეთოდების ერთობლიობას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება მიიღება, როგორც ექსპერტთა საბოლოო შეფასების (მაქსიმუმ 20 ქულა), რეცენზენტთა საბოლოო შეფასებისა (მაქსიმუმ 40 ქულა) და სადისერტაციო კომისიის შეფასების (მაქსიმუმ 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბოლოო შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი (*summa cum laude*) შესანიშნავი ნაშრომი (91-100) ქულა;
- (B) ძალიან კარგი (*magna cum laude*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- (C) კარგი (*cum laude*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- (D) საშუალო (*bene*) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
- (E) დამაკმაყოფილებელი (*rite*) შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

უარყოფითი შეფასება:

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო (41-50 ქულა);
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ სადისერტაციო კოლეგიის წევრთა უმრავლესობა მას „არადამაკმაყოფილებლად“ (41-50 ქულა - *insufficient*) ან „სრულიად არადამაკმაყოფილებლად“ (40 ქულა და ნაკლები - *sub omni canone*) აფასებს.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ. არადამაკმაყოფილებელი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სემესტრის მანძილზე პროგრამით გათვალისწინებულ საგნებზე საათების განაწილება

#	ს ა გ ა ნ ი	ს ა ა თ ე ბ ი	ს ა კ ო ნ ტ ა კ ტ ო ს ა ა თ ე ბ ი					ს უ ლ	დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ს ა ა თ ე ბ ი
			ლ ე კ ც ი ა	ს ე მ ი ნ ა რ ი	I-II შ უ ა ლ ე დ უ რ ი	დ ა ს კ ვ ნ ი თ	ს ა ა თ ე ბ ი		
	სავალდებულო საგნები:								
1	ძველი აღთქმის წიგნთა საღვთისმეტყველო განმარტება	125	15	24	4	2	45	80	
2	ძველი აღთქმის ტექსტის ისტორია და ქართული თარგმანები	125	15	24	4	2	45	80	
3	ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა -კოინე)	125	15	24	4	2	45	80	
4	ძველი ებრაული ენა I	125	15	24	4	2	45	80	
5	დოქტორანტის სემინარი	250							
6	პროფესორის ასისტენტობა	125							
	არჩევითი კურსები								
1	ძველი აღთქმა ლიტურგიკულ პრაქტიკაში	125	15	24	4	2	45	80	
2	ბიზანტიური ტექსტები II	125	15	24	4	2	45	80	
3	ბიზანტიური ტექსტები III	125	15	24	4	2	45	80	
4	ძველი ებრაული ენა II	125	15	24	4	2	45	80	
5	ძველი აღთქმის ებრაული ტექსტები	125	15	24	4	2	45	80	
6	ლათინური ენა I	125	15	24	4	2	45	80	

7	ლათინური ენა II	125	15	24	4	2	45	80
8	სლავური ენა	125	15	24	4	2	45	80

№	კვლევითი კომპონენტები, სხვა აქტივობები	საათები	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
1.	საწყისი ეტაპი: სადოქტორო თემის შერჩევა და გეგმის შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენა	125	10	115
2.	საწყისი ეტაპი: ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი	250	10	240
3.	დისერტაციის მომზადების I ეტაპი	500	10	490
4.	დისერტაციის მომზადების II ეტაპი	625	15	610
5.	დისერტაციის მომზადების III ეტაპი	500	10	490
6.	კოლოკვიუმი 1	250	10	240
7.	კოლოკვიუმი 2	250	10	240
8.	სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა	500	10	490

სწავლის შედეგების რუკა

სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულე-ბები
სავალდებულო საგნები						
ძველი აღთქმის წიგნთა საღვთისმეტყველო განმარტება	✓	✓	✓	✓	✓	✓
ძველი აღთქმის ტექსტის ისტორია და ქართული თარგმანები	✓	✓	✓	✓	✓	✓
ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა -კოინე)	✓	✓	✓	✓	✓	✓
ძველი ებრაული ენა I	✓	✓	✓	✓	✓	✓
არჩევითი კურსები						
ძველი აღთქმა ლიტურგიკულ პრაქტიკაში	✓	✓	✓	✓	✓	✓
ბიზანტიური ტექსტები II	✓	✓	✓	✓	✓	✓
ბიზანტიური ტექსტები III	✓	✓	✓	✓	✓	✓
ძველი ებრაული ენა II	✓	✓	✓	✓	✓	✓
ძველი აღთქმის ებრაული ტექსტები	✓	✓	✓	✓	✓	✓
ლათინური ენა I	✓	✓	✓	✓	✓	✓
ლათინური ენა II	✓	✓	✓	✓	✓	✓
სლავური ენა	✓	✓	✓	✓	✓	

ადამიანური რესურსის განაწილება საგნების მიხედვით

სავალდებულო საგნები:

- 1) მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)
ძველი აღთქმის წიგნთა საღვთისმეტყველო განმარტება
- 2) ანა ხარანაული
ძველი აღთქმის ტექსტის ისტორია და ქართული თარგმანები
- 3) ვიქტორია ჯულელი
ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა - კოინე)
- 4) ნათია ამირიძე
ძველი ებრაული ენა I

არჩევითი კურსები:

- 1) მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)
ძველი აღთქმა ლიტურგიკულ პრაქტიკაში
- 2) ვიქტორია ჯულელი
ბიზანტიური ტექსტები II
- 3) ვიქტორია ჯულელი
ბიზანტიური ტექსტები III
- 4) ნათია ამირიძე
ძველი ებრაული ენა II
- 5) ნათია ამირიძე
ძველი აღთქმის ებრაული ტექსტები

6) ვექტორია ჯუღელი
ლათინური ენა I

7) ვექტორია ჯუღელი
ლათინური ენა II

8) ირინე კაპანაძე
სლავური ენა

სემესტრის მანძილზე პროგრამით გათვალისწინებულ საგნებზე საათების განაწილება

#	ს ა გ ა ნ ი	ს ა ა თ ე ბ ი	ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო ს ა ა თ ე ბ ი					ს უ ჯ	დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მ უ შ ა ო ბ ი ს
			ლ ე ქ ც ი ა	ს ე მ ი ნ ა რ ი	I - II შ უ ა ლ ე დ უ რ ი გ ა მ ო ც დ ა	დ ა ს კ ვ ნ ი თ ი გ ა მ ო ც დ ა	ს ა ა თ ე ბ ი		
	სავალდებულო საგნები								
1	ახალი აღთქმის ეგზეგეზისი	125	15	24	4	2	45	80	
2	ძველი აღთქმის წინაუწყებანი ახალი აღთქმის მოვლენათა შესახებ	125	15	24	4	2	45	80	
3	ახალი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმან-რედაქციები	125	15	24	4	2	45	80	
4	ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა -კოინე)	125	15	24	4	2	45	80	
5	დოქტორანტის სემინარი	250							
6	პროფესორის ასისტენტობა	125							
	არჩევითი კურსები								
1	ძველი აღთქმა ლიტურგიკულ პრაქტიკაში	125	15	24	4	2	45	80	
2	ქრისტიანული საღვთისმეტყველო სკოლები	125	15	24	4	2	45	80	
3	ბიზანტიური ტექსტები II	125	15	24	4	2	45	80	
4	ბიზანტიური ტექსტები III	125	15	24	4	2	45	80	
5	სადმართო ლიტურგიათა შედარებითი საღვთისმეტყველო ანალიზი	125	15	24	4	2	45	80	
6	ჰომილეტიკა	125	15	24	4	2	45	80	

7	ქრისტიანული წყაროები	სამართლის	125	15	24	4	2	45	80
8	ლათინური ენა I		125	15	24	4	2	45	80
9	ლათინური ენა II		125	15	24	4	2	45	80
10	სლავური ენა		125	15	24	4	2	45	80